ევროკავშირი

ევროკომისიის დაფინანსებით 2004-2011 წლებში:

საქართველოს სახელმწიფო ხაზინაში 25 მილიონი ევრო გადაირიცხა რეფორმების მხარდასაჭერად და საჯარო ფინანსების ხარჯვის ეფექტიანობის გასაზრდელად.

დამკვიდრდა საბუღალტრო აღიცხვისა და კონტროლის თანამედროვე სისტემა.

მოხდა საგადასახადო სისტემის რეფორმირების პროცესის მნიშვნელოვანი მხარდაჭერა.

ინფორმაცია და ადმინისტრაციული დახმარება უფრო ხელმისაწვდომი გახდა გადასახადის გადამხდელისთვის.

საქართველოს საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის მნიშვნელოვანი მხარდაჭერა

სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებს შეუძლიათ, შექმნან ხელსაყრელი გარემო ბიზნესისთვის, ინოვაციებისა და სამომავლო განვითარებისთვის. ევროკავშირს და საქართველოს ერთნაირი ხედვა აქვთ იმასთან დაკავშირებით, რომ საჯარო ფინანსების გამჭვირვალე და ეფექტიანი ხარჯვა ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პირობაა. 2004 წლიდან ევროკავშირს დაფინანსებული აქვს რიგი პროგრამებისა, რომლებიც მიზნად ისახავდა საქართველოსთვის დახმარების გაწევას საჯარო ფინანსების ხარჯვის ეფექტიანობის გაზრდაში, მათ შორის:

- სამართლებრივი ბაზის ფორმირებასა და ქვეყნის ბიუჯეტის ეფექტიან მართვაში;
- საგადასახადო და საბაჟო სისტემების რეფორმირებაში უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბებული და ქმედითი, გადასახადების გადამხდელთათვის უფრო ადვილად გასაგები პროცედურების შემოღების მეშვეობით;
- საჯარო ფინანსების მართვის შემოწმების, მასთან დაკავშირებული რეკომენდაციებისა და შეფასებების თანამედროვე შიდა და გარე სისტემების ჩამოყალიბებას, და
- საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის გაუმჯობესებას.

2004 წლიდან ევროკავშირი დახმარებას უწევს იმ სახელმწიფო ინსტიტუტებს – ფინანსთა სამინისტროს, კონტროლის პალატას, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს და იუსტიციის, ჯანდაცვისა და განათლების სამინისტროებს – რომლებიც მონაწილეობენ საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის პროცესში. ამ სექტორისთვის გამოყოფილი დახმარების – 25 მილიონი ევრო 2004-2011 წლებისათვის – უდიდესი ნაწილი საქართველოს სახელმწიფო ხაზინაშია ჩარიცხული.

გარდა ამისა, სახელმწიფო ინსტიტუტებისთვის გამოიყო 5 მილიონი ევროს ოდენობის ტექნიკური დახმარება, რაც მიზნად ისახავდა ევროკავშირის სტანდარტებთან და ნორმებთან ქართული სტანდარტებისა და ნორმების ჰარმონიზების პროცესის ხელშეწყობას.

უფრო ღია და მონაწილეობაზე დამყარებული პროცესი

ევროკავშირის მიერ საჯარო ფინანსების მართვის სექტორში გაწეული დახმარების ფარგლებში ყურადღება გამახვილებული იყო, აგრეთვე, იმ როლზე, რომელიც სამოქალაქო საზოგადოებას და სხვა სოციალურ მოთამაშეებს შეუძლიათ შეასრულონ საჯარო ფინანსების მართვის რეფორმირებისას. ევროკავშირი მაქსიმალურად უჭერდა მხარს კონსულტაციებისა და დებატებისათვის პლატფორმების შექმნას.

ქვეყნის ბიუჯეტის ეფექტიანი და გამჭვირვალე მართვა

ევროკავშირის მიერ საქართველოს ხელისუფლებისთვის გაწეული დახმარება ქვეყნის ბიუჯეტის მართვის ეფექტიანი დონის მიღწევაში ყურადღებას ამახვილებდა:

- საჯარო ფინანსების ხარჯვის დაგეგმვასა და განხორციელებაზე;
- საჯარო ფინანსების გამოყენების მონიტორინგსა და შეფასებაზე და მასთან დაკავშირებით ანგარიშგებაზე.

საჯარო ფინანსების ხარჯვის ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის გაზრდას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება რესურსების განაწილების გაუმჯობესებისთვის და საზოგადო კონსენსუსზე დამყარებული რეფორმისთვის. სწორედ ამიტომ ეხმარება ევროკავშირი საქართველოს მთავრობას საჯარო ფინანსების მართვის გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის გაზრდაში. მეტი გამჭვირვალობა საშუალებას აძლევს მთავრობას, გააუმჯობესოს თავისი პრიორიტეტების დასახვისა და ეკონომიკური სტრატეგიების შემუშავების გზები.

ევროკომისია ევროკავშირის აღმასრულებელი ორგანოა

„ევროკავშირი 27 წევრი ქვეყნისგან შემდგარი გაერთიანებაა. მისი წევრები წლების მანძილზე ერთმანეთს ცოდნასა და გამოცდილებას უზიარებდნენ და საერთო მომავლის შესაქმნელად თავიანთ რესურსებს აერთიანებდნენ. 50 წლის განმავლობაში ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა ერთად შექმნეს სტაბილური სივრცე დემოკრატიის და მდგრადი განვითარებისთვის. ამ პროცესში მათ შეინარჩუნეს კულტურული მრავალფეროვნება, ტოლერანტობა და ადამიანის პირადი თავისუფლებები. ევროკავშირის ამოცანა სწორედ ამ მიღწევების და ფასეულობების გაზიარებაა მის საზღვრებს მიღმა მყოფი ადამიანებისა და ქვეყნებისთვის.“

European Union

077 საინფორმაციო ცენტრის და ცხელი ხაზის უფასო ნომერია, რომელიც მიზნად ისახავს, დაეხმაროს და კონსულტაცია გაუწიოს გადასახადების გადამხდელებს

გამოქვეყნდა „ჯიბის საგადასახადო წიგნი“

ევროკავშირმა დახმარება გაუწია საქართველოს ხელისუფლებას საჯარო ფინანსების სისტემის მართვის ნაკლოვანებათა განსაზღვრაში და რეფორმებისთვის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებაში.

ფინანსთა სამინისტრომაც ისარგებლა დახმარებით შემოსავლების პროგნოზირების შესაძლებლობის გაუმჯობესებაში. საჯარო ფინანსური რესურსების პროგნოზირება უფრო ზუსტი და ადვილად განსასაზღვრი გახდა. აღნიშნული დახმარება მიმართული იყო, აგრეთვე, სექტორში წარმატებული შედეგების მომტანი პრაქტიკის იდენტიფიცირებისა და დანერგვისაკენ.

გარდა ამისა, ევროკავშირმა ხელი შეუწყო საბუღალტრო აღრიცხვისა და კონტროლის თანამედროვე სისტემების დამკვიდრებას. შემოღებული იქნა ახალი პროცედურები, რომლებზე დაყრდნობით ყველა საჯარო დაწესებულებამ უნდა დანერგოს საჯარო ფინანსების ხარჯვის შიდა აუდიტის და კონტროლის პროცესი. ეს სისტემა იძლევა შესაძლებლობას, ჩამოყალიბდეს რეკომენდაციები შესაბამისი სამინისტროებისთვის იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეიძლება ბიუჯეტის ხარჯვა უფრო ეფექტიანი გზით.

საგადასახადო რეფორმები მყარი ეკონომიკური ზრდის მისაღწევად

ევროკავშირის დახმარების ფარგლებში ასევე ყურადღება ექცევა ხელისუფლების მიერ წამოწყებულ საგადასახადო სისტემის რეფორმაში მოქალაქეთა რწმენის გაზრდას. ამ კომპონენტზე 2,4 მილიონი ევროა გამოყოფილი. აღნიშნული რეფორმა წარმოქმნის საგადასახადო შემოსავლების უფრო ეფექტიანი გამოყენების შესაძლებლობას გადასახადების გადამხდელებზე ფინანსური წნეხის გაუზრდელად. შესაბამისად, ქვეყანა მოახერხებს, მიაღწიოს ეკონომიკის ზრდას, სამუშაო ადგილების შექმნას და, საბოლოო ჯამში, სიღარიბის დაძლევას. საგადასახადო რეფორმები უზრუნველყოფს სტაბილურ წარმატებას კორუფციასთან ბრძოლაში, უცხოური ინვესტიციებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნასა და ვაჭრობის ხელშეწყობაში.

საქართველოს საგადასახადო სისტემის ზოგადი შეფასება 2009 წლის ოქტომბერში გამოქვეყნდა. ევროკავშირთან მიმართებაში საგადასახადო ინსპექციის მართვის ეს შეფასება დაეხმარა ფინანსთა სამინისტროს და საგადასახადო დეპარტამენტს, გაეფართოებინათ დიალოგი გადასახადების გადამხდელებთან და გაეზარდათ მათი გათვითცნობიერებულობა ამ საკითხებში გამჭვირვალობის, მიუკერძოებლობისა და კანონის სრული პატივისცემის პრინციპებზე დაყრდნობით.

აღნიშნული დაფინანსების ნაწილით - 300 000 ევროს ოდენობის თანხით – ევროკავშირმა დახმარება გაუწია ფინანსთა სამინისტროს გადასახადების გადამხდელებისა და მეწარმეებისათვის ძალზე სასარგებლო ახალი საინფორმაციო ცენტრის შექმნაში - ეს ცენტრი 2009 წლის 8 მაისს გაიხსნა. 077 საინფორმაციო ცენტრის და ცხელი ხაზის უფასო ნომერია, რომელიც მიზნად ისახავს, დაეხმაროს და კონსულტაცია გაუწიოს გადასახადების გადამხდელებს საქართველოში საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობასთან დაკავშირებულ საკითხებში. გარდა ამისა, ევროკავშირმა დააფინანსა „ჯიბის საგადასახადო წიგნის“ გამოქვეყნება. ეს წიგნი ქართულ და ინგლისურ ენებზე განთავსებულია, აგრეთვე, ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე. წიგნი იძლევა საფუძვლიან ინფორმაციას ახალი საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ უფლებებსა და მოვალეობებზე, იმაზე, თუ როგორ უნდა შეივსოს საგადასახადო დეკლარაციები, საგადასახადო ფორმები და როგორ უნდა იქნეს გადახდილი გადასახადები.

მაკროფინანსური დახმარება

საჯარო ფინანსური რესურსების სათანადო მართვა იყო, აგრეთვე, ერთ-ერთი მოთხოვნა დამატებითი დახმარების პაკეტის გამოყოფისათვის, რომელსაც ევროკავშირი საქართველოს 1994 წლიდან გამოუყოფს მაკროფინანსური დახმარების პროგრამის ფარგლებში.

მაკროფინანსური დახმარება ფინანსური ინსტრუმენტია, რომელიც უზრუნველყოფს დახმარებას კონკრეტულ შემთხვევებში, რათა ხელი შეუწყოს პარტნიორ ქვეყანას რთული საგარეო ფინანსური სიტუაციისთვის თავის გართმევაში.

1998-2006 წლებში საქართველომ მიიღო 53,5 მილიონი ევრო გრანტის სახით და 110 მილიონი ევრო სესხის სახით.

ეს თანხები საქართველოს მთავრობამ გამოიყენა ეკონომიკის სტაბილიზებისთვის და საერთაშორისო დონორებთან შეთანხმების მიღწევისთვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს ქვეყნის მომავალი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება.

ევროკავშირის
წარმომადგენლობა
საქართველოში
ნინო ჩხეიძის 38
თბილისი 0102,
საქართველო
ტელ.: (995 32) 943763
ფაქსი: (995 32) 943768
DELEGATION-GEORGIA@
ec.europa.eu
www.delgeo.ec.europa.eu